უილიამ ჯულიუს უილსონი (1935) არის ჰარვარდის უნივერსიტეტის ურბანული სოციოლოგიის პროფესორი, რომელიც იკვლევს კლასისა და რასის საკითხებს. დღემდე ის ჰარვარდის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე მკვლევრად მიიჩნევა. თავის ნაშრომებში უილსონი ააშკარავებს იმ სხვადასხვა უხილავ სტრუქტურულ მიზეზს, რომელიც ქალაქის შიდა უბნების მაცხოვრებლებს მრავალ შესაძლებლობას უზღუდავს.

მეტი, ვიდრე რასა: რას ნიშნავს იყო შავკანიანი და ღარიბი ქალაქის შიდა უბანში

კონცენტრირებული სიღარიბის განმაპირობებელი ფაქტორები
(თავი 2)

1990-იანი წლების მეორე ნახევარში და ოცდამეერთე საუკუნის პირველ წლებში გაჭირვებული და ღარიბი შავკანიანი ამერიკელების მიმართ საჯარო ყურადღებამ შესამჩნევად მოიკლო. მედიის ყურადღება იშვიათად კონცენტრირდებოდა ურბანულ სიღარიბეზე (იგულისხმება ისეთი უბნები, რომლის მაცხოვრებლების დიდი პროცენტიც ფედერალური მთავრობის მიერ დადგენილ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს), პოპულარული პოლიტიკური ლიდერები საკმაოდ იშვიათად ან საერთოდ არ განიხილავდნენ ქალაქის შუაგულში არსებულ გამოწვევებს და გეტოს მაცხოვრებლებშიც აშკარად შეიმჩნეოდა სიჩუმე. ეს სიტუაცია 1960-იანი წლებისგან ფუნდამენტურად განსხვავდებოდა, როცა სამართლებრივი სეგრეგაციიდან რასობრივად უფრო გახსნილ საზოგადოებად გარდაქმნის პროცესში სოციალური მოუსვენრობის შემთხვევები მრავლად შეიმჩნეოდა და ხანდახან ძალადობრივი ფორმებითაც კი იყო გამოხატული, მაგალითად ეს ჩანდა იმ აჯანყებებში, რომლებიც დოქტორ მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობას მოჰყვა.

თუმცა 2005 წელს ქარიშხალმა კატრინამ ნიუ ორლეანის შუაგულში კონცენტრირებული სიღარიბე ცხადად გააშიშვლა. როდესაც სატელევიზიო კამერები მიპყრობილი იყო წყალდიდობაზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც თავიან სახლებსა და ბინებში იყვნენ გამომწყვდეულები და მასობრივ ტრაგედიაზე, ბევრი ამერიკელი გაოგნებით აკვირდებოდა ღარიბების უკიდურესი სიდუხჭირის მანიშნებელ საცხოვრებელ პირობებს. რა თქმა უნდა, კატრინამ უბედურება მოუტანა მთლიანად ნიუ ორლეანს - შავკანიანებსა და თეთრკანიანებს, მდიდრებსა და ღარიბებს, მათაც შეეხო, ვისაც უძრავი ქონება ჰქონდა და მათაც, რომლებიც საერთო საცხოვრებლების მდგმურები იყვნენ. ამის მიუხედავად, ბევრმა მაცხოვრებელმა წყალდიდობიდან თავის დაღწევა კი შეძლო, მაგრამ უკან დარჩნენ ყველაზე ღარიბები, რომლებსაც არც ავტომობილები ჰყავდათ და არც ფული - ტრანსპორტისთვის ან დროებითი საცხოვრებლებისთვის რომ გაეღოთ. ისინი ქარიშხლის გადავლას დაელოდნენ, რაც ტრაგიკული შედეგებით დასრულდა. კატრინას დროს მთელი სახელმწიფოს ყურადღება მიქცეული იყო ღარიბი ურბანული უბნებისკენ.

ზოგი ადამიანი ამტკიცებდა, რომ კატრინა წარმოაჩენდა, თუ როგორი ბრიყვობაა ყველა ასპექტში სახელმწიფოს ანაბარა დარჩე და შენს ბედზე კონტროლი თავად არ აიღო ხელში. თუმცა, უსამართლობაა და ნამდვილად გაუმართლებელია, დაადანაშაულო შეზღუდული რესურსების მქონე პირები იმაში, რომ ისინი საკუთარ უბნებში გაიჭედნენ და ბუნებრივი კატასტროფის წინაშე მოწყვლადები აღმოჩნდნენ. ადამიანები, რომლებიც ღატაკ, გეტო სამეზობლოებში ცხოვრობენ მხოლოდ მათ არ მოიცავს, ვინც სახელმწიფო პროგრამების დახმარების პროგრამის საშუალებით ახერხებს არსებობას, ის მოიცავს დასაქმებულ ღატაკ ადამიანებსაც, რომელთა უმეტესობაც სოციალური დახმარების პროგრამაზე დამოკიდებული არასდროს ყოფილა.

ის ფაქტი, რომ ქარიშხალ კატრინას თავზე დატყდომის დროს ნიუ ორლეანის შუაგულში ამდენი ოჯახი იყო მანქანებისა და ტრანსპორტირების სხვა საშუალებების გარეშე გამომწყვდეული, მხოლოდ ნიუ ორლეანის პრობლემას არ წარმოადგენს. მაგალითად, ჩიკაგოს შუაგულში არსებულ გეტოებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მაცხოვრებლების მხოლოდ 19 პროცენტს აქვს ავტომობილზე წვდომა.[1] ამ უზომოდ სეგრეგირებულ და სიღარიბის დიდი კონცენტრაციის ადგილებში ადამიანი შეიძლება ძალიან დისციპლინირებული და პასუხისმგებლიანი იყოს, მთელი დღის მანძილზე საარსებო მინიმუმზე

მუშაობდეს და ამასთან ძლივს გაიტანოს თვიდან თვემდე თავი ან არ ჰქონდეს იმის საშუალება, რომ იყიდოს და შეინახოს ავტომობილი. დაბალი შემოსავლის გამო ასეთი ადამიანი მთლიანად დამოკიდებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. ამ პირობებში მყოფ ნებისმიერ პირს არ ძალუძს ოჯახის მყისიერად სხვა ადგილას გადაყვანა.

სატელევიზიო კამერები რომ ქარიშხალ კატრინას დატრიალებამდე ყოფილიყო მიპყრობილი ნიუ ორლეანის, ან რომელიმე სხვა ქალაქის ცენტრში მდებარე გეტოებისკენ, დარწმუნებული ვარ, იქ აღწერილ სიღარიბესა და სიღარიბის მაღალ კონცენტრაციაზე თავდაპირველი რეაქცია სულაც არ იქნებოდა თანაგრძნობის გამომხატველი. როგორც ამას მალე ვნახავთ, ამერიკაში ზოგადი შეხედულებების შესახებ ჩატარებული გამოკითხვები მუდმივად აირეკლავს იმ აზრს, რომ ადამიანები ღარიბები და უმუშევრები საკუთარი ნაკლოვანებებისა და არასრულფასოვნების გამო არიან. სხვა სიტყვებით, ძალიან ცოტა ადამიანი დაფიქრდებოდა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ქალაქის შუაგულში მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობაზე სოციუმის მამოძრავებელი უფრო დიდი ფაქტორები - სეგრეგაცია, დისკრიმინაცია, ეკონომიკური შესაძლებლობების სიმწირე, სუსტი საჯარო სკოლები. თუმცა რადგან ცხადი იყო, რომ კატრინა იყო ბუნებრივი კატაკლიზმა, რომელზე კონტროლიც ქალაქის ცენტრში მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობას არ ჰქონდა, ამერიკელები უფრო კეთილგანწყობილები იყვნენ ღარიბების მიმართ. გარკვეული აზრით, კატრინა იყო ის ულმობელი ბუნებრივი ექსპერიმენტი, რომლის მეშვეობითაც უკეთ მცხოვრებ ამერიკელებს ცხადად შეეძლოთ ეხილათ რასობრივი იზოლაციისა და ქრონიკული ეკონომიკური დაქვემდებარების შედეგები.

იმის მიუხედავად, რომ კატრინას დატრიალებამდე სახელმწიფოს საჯარო ცნობიერებაში ურბანულ სივრცეებში მაცხოვრებლების პრობლემები ნაკლებად იყო აღქმული, სოციალური მეცნიერები სამართლიანად უთმობდნენ საკმაო დროს კონცენტრირებულ სიღარიბეს, რადგან ეს ფაქტორი ზოგად სიღარიბესთან არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს: უმუშევრობას, კრიმინალის დონეს, სამართალდარღვევებს, ნარკოტიკის კონტრაბანდას, დანგრეულ ოჯახებს, დაბალი ხარისხის სკოლებს. ის უბნები, სადაც კონცენტრირებულია სიღარიბე, აღიქმება როგორც საშიში, ამიტომაც ეს უბნები სოციალურადაც და ეკონომიკურადაც იზოლირებული ხდება, რადგან ადამიანები ყველაფერს აკეთებენ, რათა ამ უბნებთან ნებისმიერი სახის კავშირი აირიდონ.[2]

თუ სოციალურ მეცნიერებს სურთ, ეფექტურად და ამომწურავად აუხსნან დიდ აუდიტორიას შიდა ქალაქის მაცხოვრებლების გამოცდილებები და იქ ცხოვრების სოციალური შედეგები, მათ მხოლოდ აშკარა რასობრივ სტრუქტურულ ფაქტორებზე კი არ უნდა ისაუბრონ, რომლებსაც უშუალოდ შეაქვთ წვლილი უთანასწორობისა და კონცენტრირებული სიღარიბის ჩამოყალიბებაში, არამედ ასევე უნდა ახსენონ, თუ როგორი არაპირდაპირი გავლენა აქვს *პოლიტიკურ საქმიანობას* და ზოგად *ეკონომიკურ ფაქტორებს* ქალაქის შიდა ნაწილის მდგომარეობაზე. ასევე მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ რასაზე ეროვნული რწმენები და კულტურული ბარიერები, რომლებიც ხანგრძლივი რასობრივი იზოლაციიდან და მუდმივი ეკონომიკური დაქვემდებარებიდან არის ამოზრდილი.

პოლიტიკური ქმედებების როლი

1934 წელს ფედერალური საცხოვრებლების ადმინისტრაციის (FHA) დაარსებიდან მოყოლებული შეერთებული შტატების მთავრობამ საშუალება მისცა მოქალაქეებს, სახლის მეპატრონეები გამხდარიყვნენ იპოთეკური სესხების დაზღვევის მეშვეობით, ამ პროგრამის შექმნა საჭირო გახდა დიდი დეპრესიის დროს იპოთეკური სესხების გადაუხდელობის წყალობით მასიურად ჩამორთმეული ქონების გამო. თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ფედერალურმა მთავრობამ წვლილი შეიტანა ქალაქების შიდა უბნების თავდაპირველი განადგურების პროცესში ამ ადგილებში დასახლების მსურველთათვის იპოთეკური კაპიტალის არ მიცემით და ამ ადგილებში ახალმოსახლეებისთვის ან უკვე დასახლებული ოჯახებისთვის სახლების ყიდვის პროცესში სირთულეების შექმნით.

დიდი დეპრესიის პერიოდში ჩამორთმეული ქონების გამო ფედერალურმა მთავრობამ იპოთეკური სესხები დააზღვია იმ მიზნით, რომ მოქალაქეებს საკუთარი სახლის ყიდვის საშუალება ჰქონოდათ. მაგრამ

საცხოვრებლების ადმინისტრაციის იპოთეკის პროგრამის ადმინისტრირებაში შეიმჩნეოდა შერჩევითობა, რაც იმ პროცესის ფორმალიზების საშუალებით მოხერხდა, რომელიც სესხების გაცემის დროს ზოგიერთ ურბანულ უბანს გამორიცხავდა. ამისთვის გამოიყენებოდა ისეთი ემპირიული მონაცემები, სადაც ნაჩვენები იყო, რომ დიდი ალბათობით ამ უბნებში ინვესტიციის ჩადების დროს დანაკარგები დიდი იქნებოდა.

ეს პრაქტიკა ცნობილი გახდა *წითელი ხაზების გავლების (Redlining)* სახელით, რომელიც უმეტესად უბნის რასობრივი კომპოზიციის შეფასებით დებდა დასკვნას. იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ ბევრი ისეთი უბანი მოექცა წითელ ზონაში, სადაც ევროპელი იმიგრანტები მრავლად ცხოვრობდნენ, ფაქტიურად, ყველა შავკანიანთა უბანიც ამ ზონაში მოყვა. სახლის ყიდვის მსურველებს, ვისაც წითლად მონიშნულ უბნებში სურდათ სახლის ყიდვა, არასდროს უმტკიცდებოდათ იპოთეკა ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად. ამ პრაქტიკამ მკაცრად შეზღუდა ქალაქის შიდა ნაწილებში ხარისხიანი შენობების აშენების ან უკვე აშენებული სახლების გამაგრების შესაძლებლობები, რამაც დიდწილად განაპირობა ურბანული დაღმასვლა და რასაც დღეს ბევრი ამერიკელი შავკანიანთა უბნებთან აკავშირებს. ნახსენები პოლიტიკური ქმედება ცალსახად წინასწარაკვიატებული რასობრივი შეხედულებებით იყო მოტივირებული და 1960 წელსღა მოხერხდა საცხოვრებლების ადმინისტრაციის მიერ რასობრივ კომპოზიციაზე დაყრდნობით იპოთეკური სესხების გაცემაზე შეზღუდვების მოხსნა.[3]

მომდევნო პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა ისეთი შედეგები გამოიღო, რომ შავკანიანები უფრო და უფრო არამიმზიდველ ცენტრალურ უბნებში გამოამწყვდია. 1950-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული საშუალო კლასის გარეუბნებში გადინებას, რომელიც უკვე სახეზე იყო ვეტერანებისთვის სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სესხების მეშვეობით, კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ტრანსპორტირებისა და ავტომაგისტრალების შესახებ ფედერალურმა პოლიტიკამ, რაც გულისხმობდა ბევრი ქალაქის შუაგულში გზატკეცილების ქსელების შენებას. იმის მიუხედავად რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, ერთი შეხედვით, არარასობრივი იყო, ამ შემთხვევაში ფარულად რასობრივსა და გაცხადებულად რასობრივს შორის ხაზი ბუნდოვანია. მაგალითად, დავსვათ კითხვა, აშენდებოდა თუ არა ეს გზატკეცილები უფრო მდიდარ, თეთრკანიანთა უბნებში?

ყოველ შემთხვევაში, გზატკეცილებმა შავკანიანი ამერიკელების უბნებს დამანგრეველი შედეგები მოუტანა. ამ მოვლენებმა მხოლოდ ის კი არ გამოიწვია, რომ შედარებით ფინანსურად შეძლებული მაცხოვრებლები ქალაქებიდან გარეუბნებში გადავიდნენ, არამედ თვითონ გზატკეცილებმა „შექმნა ბარიერები ქალაქის სხვადასხვა ნაწილებს შორის, ღარიბებისა და უმცირესობების უბნები ჯებირებით გამოიყო ცენტრალური ბიზნეს ოლქებისგან.“[4] მაგალითად, რამდენიმე კვლევა აჩვენებდა, რომ რიჩარდ. ჯ. დეილიმ, ჩიკაგოს ყოფილმა მერმა, 1956 წლის გზატკეცილების ფედერალური ხელშეწყობის აქტი გამოიყენა ღატაკ აფრო-ამერიკელებით დასახლებულ უბნებში ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მარშრუტების გასაყვანად, რამაც კიდევ უფრო დიდი სეგრეგაცია და იზოლაცია გამოიწვია.[5] ამ პოლიტიკური გადაწყვეტილების გრძელვადიანი შედეგი თოთხმეტხაზიანი დენ რაიანის გზატკეცილია, რომელმაც ბარიერები შექმნა შავკანიან და თეთრკანიან უბნებს შორის.[6]

გზატკეცილების შენების მავნებელი შედეგების კიდევ ერთი განსაკუთრებით აღმაშფოთებელი მაგალითი არის ბირმინგემი, ალაბამას შტატთაშორისი ავტომაგისტრალური სისტემა, რომელიც შავკანიანთა რამდენიმე უბანს ყოფს შუაზე და დაკლაკნილი და მოსახვევებით დატვირთულია იმის ნაცვლად, რომ უფრო სწორი გზატკეცილი აეშენებინათ, რომელიც უმეტესაც თეთრკანიანებით დასახლებულ უბნებს გაყოფდა. ავტომაგისტრალის ეს სისტემა ძირითადად იმ საზღვრებს მიუყვებოდა, რომელიც 1926 წელს შეიქმნა ქალაქის რასობრივი გამიჯვნის კანონის საფუძველზე და რომელიც ფორმალურად 1956 წელს გზატკეცილის სამუშაოების დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე გაუქმდა.[7] სხვა მაგალითები მოიცავს ფედერალურ და შტატის შიდა გზატკეცილს ატლანტაში, ჯორჯიის შტატში, რომელმაც განაცალკევა შავკანიანთა და თეთრკანიანთა უბნები, ასევე აუცილებელია ვახსენოთ I-95 მაგისტრალის კონსტრუქცია ფლორიდაში, რომელმაც გამოიწვია მაიამის ისტორიულად შავკანიანი უბნიდან, ოვერთაუნიდან, ბევრი შავკანიანი მოსახლის გამოსახლება.[8]

მეტიც, საცხოვრებლების ბაზრის სტიმულირების მეშვეობით ფედერალურმა ხელისუფლებამ საშუალო კლასის თეთრკანიანი ადამიანები ქალაქებიდან გარეუბნებში მიიზიდა.[9] სახელმწიფოს პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა, როგორიც იყო, მაგალითად, ვეტერანებისთვის იპოთეკური სესხების მიცემა და დეველოპერებისთვის იპოთეკური სესხის პროცენტისგან გათავისუფლება, დიდ ფართობებზე სახლების იაფი მშენებლობა გამოიწვია.[10] იმის მიუხედავად რომ ეს პოლიტიკა, ერთი შეხედვით, არარასობრივი იყო, მან ხელი შეუწყო თეთრკანიანი მუშა და საშუალო კლასის ოჯახების გადინებას ურბანული უბნებიდან და ამიტომაც არაპირდაპირ წვლილი შეიტანა კონცენტრირებული სიღარიბით მოცული სეგრეგირებული უბნების ზრდაში.

საცხოვრებელი სახლების ბაზრის სტიმულირების მიერ გამოწვეული შედეგების კლასიკური მაგალითი არის მასობრივად წარმოებული გარეუბნები, მაგალითად, ლევიტთაუნის სამეზობლოები, რომლებიც პირველად ნიუ იორკში აშენდა, შემდეგ კი პენსილვანიაში, ნიუ ჯერსისა და პუერტო რიკოში კომპანია Levitt & Sons-ის მიერ. ამ უბნებში ეს სახლები წარმოებული იყო მასიურად, ნახევრად აწყობილი ტიპის კარკასებით და განლაგებული იყო სათუოდ შერჩეულ გარეუბნებში, რომლებიც მოიცავდა ბევრ საჯარო კეთილმოწყობილ შენობას, მაგალითად, საშოპინგო ცენტრებსა და სივრცეებს საჯარო სკოლებისთვის. ეს სამეზობლოები წარმოადგენდნენ იდეალურ ალტერნატივას იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ქალაქის ბინებიდან სურდათ გაქცევა და ეს უბნები ხშირად რეკლამებში პოზიციონირებდნენ, როგორც „უტოპიური უბნები," რაც ადამიანებს საშუალებას მისცემდა ეცხოვრათ „გარეუბნის იდილიაში." ვეტერანებს ლევიტთაუნის სახლის ყიდვა მხოლოდ რამდენიმე ათას დოლარად შეეძლოთ და მათთვის არ იყო საჭირო წინასწარ შესატანი თანხა, ასევე დაფინანსებული ჰქონდათ დაბალპროცენტიანი იპოთეკური სესხები, რის გარანტიასაც მათზე ერთ-ერთი ფედერალური განყოფილება, ვეტერანების ადმინისტრაცია გასცემდა. თუმცა თავდაპირველად ლევიტები სახლებს აფრო-ამერიკელებზე არ ყიდდნენ. პირველი შავკანიანი ოჯახი ნიუ იორკის ლევიტთაუნის უბანში დასახლდა 1957 წელს, მათ სახლი თეთრკანიანი ოჯახისგან შეიძინეს[11] და უბანში გადასვლიდან რამდენიმე თვის მანძილზე იძულებულები იყვნენ აეტანათ შეურაცხყოფა, სიძულვილი და მუქარის წერილები. ლევიტთაუნი ნიუ იორკში დღესაც უმეტესად თეთრკანიანთა უბნად რჩება. აქ კიდევ ერთხელ ვხედავ იმ პრაქტიკას, რომლის მეშვეობითაც აფრო-ამერიკელებს შეეზღუდათ უფლებები, რომ ქალაქის შუაგულის სეგრეგირებული უბნებიდან სხვა ადგილას გადასახლებულიყვნენ.

გარეუბნებში ღიად რასობრივი პოლიტიკა სეგრეგაციას აძლიერებდა, რადგან გარეუბნებს ნება დართეს ქალაქებისთვის ფინანსური რესურსები მოეშორებინათ და გარეუბნებისთვის ცალკე მუნიციპალური ბიუჯეტი გამოეყოთ. უფრო კონკრეტულად, მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში გარეუბნებში და მცირე ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის დიდი ქალაქებისთვის დამახასიათებელი ძლიერი მუნიციპალური სერვისები ძალიან მიმზიდველი იყო. შედეგად, დიდი ქალაქები გარეუბნებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს მიიერთებდნენ ხოლმე. მაგრამ დიდ ქალაქებსა და გარეუბნებს შორის მიმართება შეერთებულ შტატებში დიდი დეპრესიის შემდეგ თანდათან შეიცვალა. ერთი საუკუნის მანძილზე ქალაქებში ღარიბი მიგრანტი მოსახლეობის შედინება, რომლებსაც ძვირიანი სერვისები სჭირდებოდათ და რომლებიც შედარებით ცოტა გადასახადებს იხდიდნენ, ქალაქის ეკონომიკისთვის მომგებიანი აღარ იყო. გარეუბნების მიერთება დიდწილად მეოცე საუკუნის შუა წლებში დასრულდა მას შემდეგ, რაც გარეუბნებმა ეფექტურად გაუწიეს წინააღმდეგობა ქალაქთან შეერთებას. ასევე გარეუბნების მაცხოვრებლებმა უბნებს უფრო მკაცრი საზღვრები შემოავლეს რაიონების ზონებად დაყოფის შესახებ კანონების დანერგვით, მიწის გამოყენების დისკრიმინაციული კონტროლით და ადგილის შერჩევითობის პრაქტიკით, რამაც უფრო რთული გახადა ქალაქის შუაგულში მცხოვრები რასობრივი უმცირესობებისთვის ამ უბნებში შეღწევა, რადგან ეს კანონები ეფექტურად გაცხრილავდა ხოლმე შავკანიან მაცხოვრებლებს რასის მიხედვით.

ამასთან, გარეუბნებს დიდი ავტონომია ჰქონდათ ცალკეული პოლიტიკური იურისდიქციის სახით, რაც მოიცავდა ხელშეკრულებებისა და ოქმების შეზღუდვებს. 1960-იან წლებში ინტეგრაციისკენ მძლავრი ზეწოლის პირობებში, „გარეუბნებმა გამრავალფეროვნება რასის მიხედვით არჩიეს და არა კლასის მიხედვით. მათ შეინარჩუნეს ზონებად დაყოფის პრაქტიკა და სხვა შეზღუდვები, რომლებიც მხოლოდ შეძლებულ შავკანიანებს (და ზოგიერთ შემთხვევაში ებრაელებს) აძლევდა უბნებში შეღწევის

შესაძლებლობას, ამიტომაც ქალაქში შიგნით გაიზარდა სიღარიბის კონცენტრაცია და ღარიბი მოსახლეობის იზოლაცია.“[12] მიუხედავად იმისა, რომ ამ პოლიტიკას აშკარად ჰქონდა რასობრივი შინაარსი, პოლიტიკა ასევე აირეკლავდა კლასის შესახებ არსებულ მიკერძოებულ აზრებს. მან ასევე ხელი შეუწყო იმ პროცესს, რომელსაც უკვე მხარს უჭედა ფედერალური მთავრობის პოლიტიკა - კერძოდ, საშუალო და მუშა კლასის თეთრკანიანი ოჯახების გადინება ქალაქიდან გარეუბნებისკენ და დაბალშემოსავლიანი შავკანიანების სეგრეგაციის ზრდა ქალაქის შიდა უბნებში.

ფედერალურმა პოლიტიკამ საზოგადოებრივი საცხოვრისის შესახებ ხელი აგრეთვე შეუწყო სეგრეგირებული შავკანიანთა გეტოების თანდათანობით ზრდას. საზოგადოებრივი საცხოვრისის შესახებ ფედერალური პროგრამის პოლიტიკა განვითარდა ორ ეტაპად, რომლებიც ორ განსხვავებულ მიმართულებას წარმოადგენდა. პირველი ეტაპი დაიწყო 1937 წლის ვაგნერ-სტიგალის საბინაო აქტით. ისეთი ჯგუფები, როგორიცაა აშშ-ს მშენებლობისა და სესხების ლიგა და უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის საბჭო, შეშფოთებულები იყვნენ, რომ სახლების მშენებლობას შეიძლება სახლის კერძო გაქირავების საფასური დაეწია, ამიტომ ისინი წარმატებით ლობირებდნენ კონგრესში ისეთი კანონის შემოღებას, რომლის მიხედვითაც ყოველი ახალი საზოგადოებრივი საცხოვრებელი ობიექტის აშენების სანაცვლოდ ერთი „საზოგადოებისთვის სახიფათო ან არასანიტარული“ საზოგადოებრივი საცხოვრებელი დაინგრეოდა. როგორც მარკ კონდონი აღნიშნავს, „ამ პოლიტიკამ ქალაქში მშენებლობის ბაზარზე დასაქმება გაზარდა, ხოლო კერძო გაქირავების ფასის დონე შეინარჩუნა ხელმოკლე ოჯახებისთვის საცხოვრებლების მარაგის შეზღუდვის გზით."[13]

საზოგადოებრივი საცხოვრისის პროგრამის პირველმა წლებმა დადებითი შედეგი გამოიღო. თავდაპირველად, პროგრამა ემსახურებოდა ძირითადად იმ ოჯახებს, რომლებიც დიდი დეპრესიის გამო დროებით იძულებით გადაადგილებული პირები იყვნენ ან მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საცხოვრებლები სჭირდებოდათ. ამ ოჯახების დიდი ნაწილისთვის საჯარო საცხოვრებლებით სარგებლობა პირველი ნაბიჯი იყო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზაზე. პროექტებში მათი ჩართვა შედარებით ხანმოკლე გამოდგა, რადგან მათ შეძლეს საკმარისი ეკონომიკური რესურსების დაგროვება კერძო საცხოვრისებში გადასასვლელად. ამ ოჯახების ეკონომიკურმა მობილობამ ”ხელი შეუწყო პირველი საზოგადოებრივი საცხოვრისის მოსახლეობის სოციალურ სტაბილურობას და პროგრამის საწყისი წარმატება ამითი უნდა აიხსნას.“[14]

1949 წლის საბინაო აქტის მიღება საცხოვრისის პოლიტიკის მეორე ეტაპის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ აქტით დაიწყო და დაფინანდა ქალაქის განახლების პროგრამა, რომელიც შემუშავებული იყო ქალაქში არსებული ბარაკების აღმოსაფხვრელად და, შესაბამისად, ერთი შეხედვით, არარასისტული იყო. თუმცა საზოგადოებრივ საცხოვრისებს, რომლებიც პროგრამის ფარგლებში შეიქმნა, "ახლა გეტოს მოსახლეობისთვის უნდა მოეყარა თავი, რომლებიც უსახლოდ დარჩნენ ურბანული განახლების პროგრამის მიერ შენობების მიწასთან გასწორების გამო."[15] ფედერალური საზოგადოებრივი საცხოვრისის ორგანოს მიერ საზოგადოებრივ საცხოვრისში ბინადრობის მოსაპოვებლად შემუშავდა შემოსავლების (უფრო დაბალი) ფინანსური ჭერი და ამ ჭერზე უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახები საცხოვრისებიდან გაასახლეს. ამრიგად, საჯარო საცხოვრებლებზე წვდომა შეიზღუდა და ბინადრობის შესაძლებლობა მხოლოდ მოსახლეობის ეკონომიკურად ყველაზე დაუცველ სეგმენტებს შეძლოთ.

ფედერალური საბინაო პოლიტიკის ამ ცვლილებას დაემთხვა აფრო-ამერიკელების სამხრეთის სოფლებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის და ცენტრალური ამერიკის ქალაქებში მიგრაციის მეორე დიდი ტალღა, რომელიც ოცდაათ წელს - 1940 წლიდან 1970 წლამდე - გაგრძელდა. აფრო-ამერიკელების ეს მასობრივი გადაადგილება კიდევ უფრო მასშტაბური და მდგრადი იყო, ვიდრე პირველი დიდი მიგრაციის ტალღა, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოს დაიწყო და დიდი დეპრესიის დროს დასრულდა. ამასთან, მეორე ტალღამ უფრო ღრმა გავლენა მოახდინა შიდა ქალაქის ტრანსფორმაციაზე.

როდესაც ჩრდილოეთში შავკანიანი ურბანული მოსახლეობა გაიზარდა, რამაც საცხოვრებლებზე უფრო დიდი მოთხოვნა გამოიწვია, თეთრკანიანთა გარეუბნების მაცხოვრებლების მხრიდან გაიზარდა ზეწოლა, რათა შავკანები შიგნით არ შეეშვათ. გარეუბნების მოსახლეობა, თავიანთი შემზღუდავი

კონტრაქტებისა და ზონებად დაყოფის შესახებ სპეციალური კანონების მეშვეობით, უარს აცხადებდა საზოგადოებრივი საცხოვრისების გარეუბნებში შენების ნებართვაზე. ხოლო ფედერალური მთავრობა დათმობაზე წავიდა თვითორგანიზებული თეთრკანიანთა ჯგუფების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ თავიანთ უბნებში საზოგადოებრივი სახლების მშენებლობას. ამრიგად, საზოგადოებრივი საცხოვრისები კონცენტრირებულად აშენდა მჭიდროდ დასახლებულ და ნგრევადი შიდა ქალაქის გეტოებში, რომლებიც ქალაქის უღარიბეს და ყველაზე ნაკლები ძალაუფლების მქონე კვარტლებს წარმოადგენდნენ ქალაქშიც და მთელ მის შემოგარენშიც. „ქალაქის უფრო და უფრო პოლიტიკურად დასუსტებული და გაღარიბებული მოსახლეობა ვერ ახერხებდა დაპირისპირებოდა საშუალო და მშრომელი კლასის თეთრკანიანების ხმამაღლა გაჟღერებულ სურვილებს, რომლებიც სეგრეგირებულ საცხოვრისებს ითხოვდნენ,“[16] საცხოვრისს, რომელიც შავკანიანებს თეთრკანიანთა უბნებს გარეთ დატოვებდა. მოკლედ, საზოგადოებრივი საცხოვრისები იქცა ფედერალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ იმგვარ ინსტიტუტად, რომელიც ოჯახებს რასის და კლასის გამო გამოაცალკევებდა, რამაც შედეგად შიდა ქალაქების გეტოებში ღარიბი შავკანიანი ოჯახების მაღალი კონცენტრაცია გამოიწვია.[17]

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ამ უბნებში სხვა ცვლილებებიც გამოიწვია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალო შემოსავლის შავკანიანთა მიგრაცია იყო. 1970-იან წლებამდე აფრო-ამერიკელი ოჯახები ძალიან მძლავრ ბარიერებს აწყდებოდნენ, როდესაც თეთრ სამეზობლოში გადასვლას განიზრახავდნენ-ხოლმე. ბევრმა საკუთარ თავზე გამოსცადა არა მხოლოდ საბინაო ბაზარზე აშკარა დისკრიმინაცია, არამედ ზოგი ძალადობრივი თავდასხმების მსხვერპლიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი საცხოვრისის აუდიტები საბინაო ბაზარზე დისკრიმინაციის არსებობას დღემდე ავლენენ, სამართლიანმა საბინაო კანონმდებლობამ, მათ შორის, 1988 წლის სამართლიანი საცხოვრებლის შესწორების აქტმა, ამ ბარიერების ძლევამოსილებას ძირი გამოაცალა. საშუალო შემოსავლის მქონე აფრო-ამერიკელები უფრო დიდი ძალისხმევით შეეცადნენ შავკანიანთა კონცენტრირებული სიღარიბის ადგილებიდან მეტროპოლიტენის ახლომახლო უფრო სასურველ უბნებში გადასვლას, მათ შორის თეთრ უბნებშიც.[18]

ეს მაგალითები წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას სამეზობლოების ფორმირების პროცესში. წინა წლებში, სამხრეთიდან შავკანიანთა მიგრაციის შედეგად, იქ, სადაც რასობრივი კომპოზიცია იცვლებოდა და შავკანიანთა წილი სადაც უფრო და უფრო იზრდებოდა, შესამჩნევი იყო მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდის ტენდენცია. საცხოვრებლებზე მოთხოვნის გამო რასობრივი კომპოზიციის ცვლილების გვიან ეტაპზე ამ უბნების სახლები და ბინები იყოფა კიდევ უფრო მცირე ზომის ერთეულებად.[19]

თუმცა 1970 წელს სამხრეთიდან ჩრდილოეთ ურბანული რეგიონებისკენ შავკანიანთა დიდი მიგრაციის ტალღა დასრულდა და ამის შემდეგ მოსახლეობის ქალაქების შიგნით მიგრაციაზე ორმა მოვლენამ იმოქმედა. ტრანსპორტირების გაუმჯობესებამ გაუადვილა მუშებს ქალაქის ცენტრისგან მოშორებით ეცხოვრათ და ასევე მრეწველობები თანდათანობით გარეუბნებში გადავიდნენ გარეუბნებში მშრომელთა ძალის ზრდისა და გარეუბანში წარმოების დაბალი ღირებულების გამო. გარეუბნებში დასაქმების და ტრანსპორტირების გაუმჯობესების შედეგად, ქალაქში საწარმოების არსებობა აღარ იყო ძლიერი ფაქტორი, რომელიც მიგრანტებს ცენტრალური ქალაქებში გადასახლებისკენ უბიძგებდა.[20]

ქალაქის ცენტრში საწარმოებში სამუშაო ადგილების შემცირებით ჩრდილოეთის ქალაქებში სამხრეთში მცხოვრებ შავკანიანთა შემოდინება შეჩერდა და მრავალი ღარიბი შავკანიანების უბანი, განსაკუთრებით ცენტრალურ დასავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში, ახლადჩამოსული მიგრანტების მჭიდროდ დასახლებული სივრცეებიდან გარდაიქმნა თანდათანობით საშუალო და მუშა კლასების კლასების მიერ მიტოვებულ სივრცედ.[21] გარდა ამისა, უახლოეს წარსულში ფედერალური მთავრობის მიერ ძირითადი ურბანული პროგრამების მხარდაჭერის ფუნდამენტურმა ცვლილებამ ღრმად გაამძაფრა ქალაქების შიდა უბნების პრობლემები. 1980 წლიდან მოყოლებული, როდესაც პრეზიდენტი რონალდ რეიგანი გახდა, ქალაქების პირდაპირი დახმარებების მკვეთრმა ვარდნამ ძალიან შეამცირა ბიუჯეტი ურბანული საზოგადოებრივი ტრანზიტისთვის, ეკონომიკურ განვითარებაში დახმარებისთვის, ურბანული განვითარების გრანტებისთვის, სოციალური მომსახურების მრავალფეროვანი სერვისების

გრანტებისთვის, ადგილობრივი საზოგადოებრივი სამუშაოებისთვის, განათლების ფინანსური მხადაჭერისთვის, საჯარო სამსახურის სამუშაო ადგილებისთვის და სამუშაო ტრენინგებისთვის. ეს პროგრები შექმნილია იმისთვის, რომ ცუდ მდგომარეობაში მყოფებს გარკვეული ფინანსური გარანტიის მოპოვებაში შეუწყოს ხელი.[22]

ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ 1977 წელს ქალაქების მთლიანი ბიუჯეტების ფედერალური წვლილი შეადგენდა 17.5 პროცენტს, მაგრამ 2000 წლისთვის მხოლოდ 5,4 პროცენტი იყო.[23] ეს ვარდნა განსაკუთრებით მწვავე იყო აღმოსავლეთ და ცენტრალური დასავლეთის ძველი ქალაქებისთვის, რომლებიც დიდწილად იყო დამოკიდებული ფედერალური და სახელმწიფო დახმარებაზე, რათა ღარიბი მოსახლეობისთვის სოციალური სერვისები დაეფინანსებინა და ძველი ინფრასტრუქტურა შეენარჩუნებინა. [...]

აქ კიდევ ერთხელ ვლინდება ისეთი პოლიტიკა, რომელიც ერთი შეხედვით არარასობრივია — თუმცა მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ურბანულ სივრცეებში თეთრი და ფერადკანიანი მაცხოვრებლების პროპორციული ცვლილებები — მაგრამ ამის მიუხედავად მან ირიბად ხელი შეუწყო ქალაქის შიდა გეტოს კრისტალიზაციას. 1980 წლიდან ქალაქებისთვის ფედერალური დახმარების შემცირება დაემთხვა ღარიბი ქვეყნებიდან ადამიანების, ძირითადად მექსიკიდან ჩამოსული მუშაკების, იმიგრაციის ზრდას და თეთრკანიანების გარეუბნებისკენ განუწყვეტლივ მიგრაციას. რადგან ცენტრალურ ქალაქებში უმცირესობებმა ჩაანაცვლეს თეთრკანიანი მოსახლეობა, ურბანულ გადასახადებზე ამან დიდი გავლენა იქონია, განსაკუთრებით კი ეს ამერიკის დიდ ქალაქებში შეიმჩნევა. აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიუროს თანახმად, 2000 წელს ლათინური ოჯახის წლიური შემოსავლების მედიანა იყო დაახლოებით 14000 აშშ დოლარით ნაკლები, ვიდრე თეთრი შინამეურნეობების მედიანა. გადასახადების და ფედერალური სახსრების თანადროული შემცირებით, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციის ახალი ფედერალისტური პოლიტიკური კურსის თანმხლები იყო, მუნიციპალიტეტებს გაუჭირდათ საკმარისი შემოსავლის შეგროვება ძირითადი მომსახურებების დასაფარად, როგორიცაა ნაგვის შეგროვება, ქუჩის დალაგება და პოლიციური დაცვა. ზოგმა მუნიციპალიტეტმა კი ასეთი სერვისები გაკოტრების თავიდან ასაცილებლად საერთოდ გააუქმა.[24]

ამ ფინანსურმა კრიზისმა მრავალი ქალაქი ცუდად შეიარაღებული დატოვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის იმ სამ დამანგრეველ პრობლემასთან გასამკლავებლად, რომლებიც წარმოიშვა 1980-იან წლებში და განსაკუთრებით შეეხო იმ სივრცეებს, სადაც კონცენტრირებულია სიღარიბე: (1) ნარკოტიკებით ვაჭრობის გავრცელება და მასთან დაკავშირებული ძალადობრივი დანაშაულები, (2) შიდსის ეპიდემია და მის მიერ გამოწვეული მზრდადი საყოველთაო ჯანმრთელობის ხარჯები და (3) უსახლკარო მოსახლეობის ზრდა, ეს ეხებათ არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ მთლიან ოჯახებსაც.[25] მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკზე დამოკიდებულება, ნარკომანიასთან დაკავშირებული ძალადობა, შიდსი და უსახლკარობა ბევრ ამერიკულ თემში გვხვდება, მათი გავლენა შავკანიან გეტოზე ძალიან ღრმაა. უამრავი ქალაქი, განსაკუთრებით ფისკალურად შეზღუდული ქალაქები, უმწეოდ აკვირდებოდნენ, ქალაქში სოციალური სერვისების შემცირებით და ასევე სამეზობლოების უმუშევრობის მაღალი დონის პრობლემების გამო როგორ გაძლიერდა აღქმა, რომ დიდი ქალაქები საშიში და საფრთხილოა საცხოვრებლად.

შესაბამისად, 1980-დან 2000-იანი წლების ჩათვლით, კვლავ ქალაქის მუშა კლასის და საშუალო კლასის მრავალი მაცხოვრებელი გადადიოდა გარეუბნებში საცხოვრებლად. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბე და უმუშევრობა და მათ მიერ წარმოქმნილი სოციალური პრობლემები კვლავ განსაკუთრებით მწვავეა გეტოებში, ბევრ ქალაქს უფრო და უფრო ნაკლები და ნაკლები რესურსი აქვს ამ პრობლემებთან საბრძოლველად. 1990-იანი წლების ბოლო ნახევარში ბევრ ქალაქში ფისკალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ეკონომიკური აყვავების ეს ხანმოკლე პერიოდი 2001 წლის რეცესიით დასრულდა, რასაც მალევე მოჰყვა ეკონომიკის საწყის მდგომარეობასთან დაბრუნება, მაგრამ დასაქმების მაჩვენებელი არ შეცვლილა.

უმსხვილეს ურბანულ რეგიონებში ცენტრალური ქალაქებისთვის ფედერალური და საშტატო დახმარების შემცირებამ მრავალი ფისკალური და სერვისებთან დაკავშირებული კრიზისი გამოიწვია, განსაკუთრებით აღმოსავლეთის და ცენტრალური დასავლეთის ძველ ქალაქებში, მაგალითად, დეტროიტში, კლივლენდში, ბალტიმორში და ფილადელფიაში. უფრო მეტიც, ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციის მიერ შტატებისთვის ფედერალური დახმარების მნიშვნელოვანმა შემცირებამ სახელმწიფო სახსრებზე დამოკიდებულ ქალაქებში პრობლემები გაამძაფრა.[26] ამ გაერთიანებული ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გამო, ბევრ ცენტრალურ ქალაქს და ქალაქის შიდა გარეუბნებს არ აქვთ ფისკალური საშუალება იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც ქალაქშია კონცენტრირებული: უმუშევრობა, ოჯახების ნგრევა და საჯარო სკოლების სისუსტე.[27]

მიმდინარე ბიუჯეტის დეფიციტის წყალობით — რომელიც კიდევ უფრო დეფიციტური ხდება ბუშის ადმინისტრაციის იმ ნაბიჯების ფონზე, რამაც მდიდარ მოქალაქეებს გადასახადები მნიშვნელოვნად შეუმცირა და მილიარდობით ფედერალური დოლარი დახარჯა ერაყისა და ავღანეთის ომებში, ტერორიზმზე ომის მხარდასაჭერად და ერაყის ინფრასტრუქტურის აღდგენაში — სავარაუდოა, რომ მომავალში პოლიტიკოსები კიდევ უფრო ნაკლებ დაუჭერენ მხარს ისეთ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს დიდი ქალაქებისა და ქალაქების შიდა უბნების აღორძინებას. და ბოლოს, ქალაქების შიდა უბნებში კონცენტრირებული სიღარიბის ზრდაში არაპირდაპირი წვლილი შეიტანეს პოლიტიკოსებმა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებით, რომლებიც შედარებით დაბალი ანაზღაურების სამუშაო ადგილები ნაკლებ მიმზიდველი გახადა და დაბალი შემოსავლის მუშაკთა ხელფასები შეამცირა.

კერძოდ, ეფექტური შრომის ბაზრის პოლიტიკის არარსებობის გამო, პოლიტიკოსებმა დაუშვეს ინდუსტრიის იმგვარი პრაქტიკა, რომელიც ძირს უთხრის მუშაკთა სტაბილურობას — მათ შორის დასაქმების სიკეთეების ჩამოცლას და ნახევარ განაკვეთზე დასაქმების ზრდას — რის გამოც, სახელმწიფო მინიმალური ხელფასის მსყიდველუნარიანობა ათწლეულების მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულზეა. ინფლაციის გათვალისწინებით, ამჟამინდელი მინიმალური ხელფასი საათში 6.55 აშშ დოლარს შეადგენს, რაც 24 პროცენტით დაბალია, ვიდრე 1960-იან წლებში მინიმალური ხელფასის საშუალო დონე, 23 პროცენტით დაბალია, ვიდრე 1970-იან წლებში, 6 პროცენტით დაბალია, ვიდრე 1980-იან წლებში და მხოლოდ 1 პროცენტით მეტია 1990-იან წლებზე.[28] [...]

შეჯამების სახით, ფედერალური ხელისუფლების პოლიტიკას, თუნდაც ის აშკარად რასობრივი არ ყოფილიყო, დიდი გავლენა ჰქონდა ქალაქებზე. ზოგიერთი გადაწყვეტილება აშკარად მოტივირებულია რასობრივი მიკერძოებებით, მაგალითად, საცხოვრებლების ადმინისტრაციის მიერ შავკანიანთა უბნების წითელ წონაში მოქცევა 1940-იან და 1950-იან წლებში. ასევე ფედერალური ხელისუფლების გადაწყვეტილება, საზოგადოებრივი საცხოვრებლები უმეტესწილად ქალაქის შიდა, შავკანიან, ღარიბ უბნებში აეშენებინათ. სხვა შემთხვევებში, როგორც ჩანს, გადაწყვეტილებებზე გავლენა ჰქონდა რასობრივ წინასწარაკვიატებულ შეხედულებას ან რასობრივ შიშებს, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიზეზი მხოლოდ ეს შიშები და აზრები არ ყოფილა. ამისი მაგალითია ახალი ფედერალიზმის ფისკალური პოლიტიკა, რამაც ფედერალური დახმარების მკვეთრი შემცირება გამოიწვია დიდი ქალაქებისთვის, რომელთა მოსახლეობაც უფრო და უფრო ფერადკანიანი ხდებოდა.

კონსერვატიული ფისკალური პოლიტიკის მიზანი, არ აქვს მნიშვნელობა ვისმა ადმინისტრაციამ გახადა იგი პოპულარული (რეიგანის, ჯორჯ ჰ. უ. ბუშის, ან ჯორჯ უ. ბუშის), როგორც ჩანს, ხელისუფლების ფინანსური დისციპლინირება იყო. თუმცა ამგვარი პოლიტიკის დანერგვა ფინანსების შეზღუდულობას ქმნის, რაც ართულებს პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას ისეთ პრობლემებთან ეფექტურად ბრძოლისთვის, როგორიცაა უმუშევრობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, შიდსი, ოჯახური სტრესი და უხარისხო სკოლები.

გარდა ამისა, როგორც უკვე ვნახეთ, სხვა პოლიტიკურ ნაბიჯებს, საიდანაც ზოგი რასობრივად მოტივირებულია, ზოგს აშკარად არ გააჩნია რასობრივი დღის წესრიგი, ხოლო ზოგჯერ რასობრივ და არასობრივს შორის ზღვარი გარკვეულწილად ნაცრისფერია, ძალიან ღრმა გავლენა ჰქონდა ქალაქის შიდა

უბნებზე და მათ ღარიბ შავკანიან მაცხოვრებლებზე: ფედერალური ტრანსპორტისა და გზატკეცილის პოლიტიკამ სამუშაო ადგილებისთვის ინფრასტრუქტურა გარეუბნებში გადაიტანა.

ვეტერანებისთვის იპოთეკური სესხების მიცემამ და იპოთეკური პროცენტის გადასახადისაგან გათავისუფლებამ ერთობლივად შეუწყო ხელი მუშა და საშუალო კლასის თეთრკანიანი ოჯახების გადინებას ცენტრალური უბნებიდან. ურბანულმა მშენებლობამ და მრავალი ქალაქის შუაგულში საავტომობილო მაგისტრალების ქსელის მშენებლობამ ბევრი სიცოცხლისუნარიანი დაბალი შემოსავლის მქონე შავკანიანი უბნის განადგურება გამოიწვია. ამასთან, არ არსებობდა ეფექტური შრომის ბაზრის პოლიტიკა, რომ მინიმალური ხელფასის რეალური ღირებულება დაეცვა, რაც ქალაქის შიდა უბნებში დასაქმებულ ღარიბებს ოჯახების რჩენას კიდევ უფრო ურთულებდა.

ეს მოვლენები ქვეყნის ბევრ ქალაქშია შესამჩნევი, მაგრამ ალბათ უფრო მეტად ცენტრალური დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ძველ, დიდ ქალაქებს შეეხო, სადაც გაუკაცრიელებულ, სიღარიბის დიდი კონცენტრაციის ადგილებში კიდევ უფრო მეტი პრობლემაა სახეზე.

ეკონომიკური ფაქტორების გავლენა

ძველი ურბანული სივრცეები ერთ დროს ეკონომიკური ზრდისა და საქმიანობის კერა იყო და, შესაბამისად, ადამიანებისთვის ეკონომიკური შესაძლებლობების საპოვნელ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა. თუმცა მრავალწახნაგოვანი ეკონომიკური გარდაქმნებისა და მეტროპოლიტენის განვითარების ცვლადი ხასიათის დამსახურებით მრავალი ქალაქის ეკონომიკა ჩამოიშალა. ეს ეკონომიკური მამოძრავებელი ფაქტორები, როგორც წესი, განიხილება როგორც არარასობრივი - რადგან მათი წარმოშობა იმ ქმედებების, პროცესების ან იდეოლოგიების პირდაპირი შედეგი არ არის, რომლებიც აშკარად ირეკლავს რასობრივ მიკერძოებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ფაქტორებმა დააჩქარა ქალაქებს შიგნით არსებული უბნების დაღმასვლა და გააღრმავა ქალაქებისა და გარეუბნების რასობრივ და შემოსავლების ნიადაგზე განსხვავებები.[29]

მეოცე საუკუნის შუა წლებიდან, შეერთებულ შტატებში წარმოების რეჟიმი მკვეთრად შეიცვალა და საწარმოებიდან უფრო და უფრო მზარდ ფინანსურ, მომსახურებისა და ტექნოლოგიების სფეროში გადაინაცვლა. ამ ცვლილებას თან ახლდა ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელმაც გარდაქმნა ტრადიციული ინდუსტრიები და ცვლილებები გამოიწვია იმ სფეროებში, როგორებიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიით დაწყებული ბიომექანიკური ინჟინერიით დამთავრებული.[30]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექნოლოგიასა და საერთაშორისო კონკურენციას შორის მიმართებამ მასობრივი წარმოების სისტემის ძირითად ინსტიტუტებს ძირი გამოაცალა. ბოლო რამდენიმე ათწლეულში პროდუქტიულობის თითქმის ყველა მატება ასოცირდება ტექნოლოგიასთან და ადამიანურ კაპიტალთან, რამაც მკვეთრად შეამცირა ფიზიკური კაპიტალის მნიშვნელობა.[31] ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციასთან ერთად, ფირმებმა თავიანთი ოპერაციები მთელს მსოფლიოში მიმოფანტეს, წარმოებისთვის საჭირო ნაგებობები გადაიტანეს განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც მნიშვნელოვნად დაბალი შრომითი ხარჯები აქვთ.[32]

ამ გლობალურმა ეკონომიკურმა გარდაქმნებმა უარყოფითად იმოქმედა აშშ-ს მრავალი ინდუსტრიაგამოცლილი ქალაქის კონკურენტულ პოზიციაზე. მაგალითად, კლივლენდს, დეტროიტს, ფილადელფიას, ბალტიმორს და პიტსბურგს დასაქმების ზრდის შკალაზე ცუდი შედეგები აქვთ, რაც ეკონომიკური მახასიათებლების ტრადიციული და მნიშვნელოვანი საზომია. სახელმწიფო დონეზე 1991-დან 2001 წლამდე დასაქმება გაიზარდა 25 პროცენტით, თუმცა ძველ, ცენტრალურ ქალაქებში სამუშაოების რაოდენობის ზრდა ან არ აღემატება 3 პროცენტს ან სამუშაოების რაოდენობა მცირდება.[33]

ქვეყნის მრავალ ცენტრალურ ქალაქში წარმოებაში სამუშაო ადგილების შემცირების გამო დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკთა სამუშაოების უმეტესობა ახლა საცალო და მომსახურების ინდუსტრიებშია დასაქმებული (მაგ., მაღაზიის მოლარეები, კლიენტთა მომსახურების წარმომადგენლები, სწრაფი კვების

ოფიციანტები, ციხეში მომუშავე პირები). ამასთან, საწარმოო ინდუსტრიებში სამუშაო ადგილები ერთიანდებოდა პროფკავშირებში, ამიტომ სამუშაოები შედარებით სტაბილური იყო, უფრო მაღალი ანაზღაურებით. საცალო და მომსახურების ინდუსტრიები დაბალი და საშუალო განათლების მქონე მუშაკებს სთავაზობს დაბალ ხელფასებს, სამუშაოები არამდგრადია, არ გააჩნია სხვადასხვა სახის სიკეთეები და მუშაკთა დაცვას ვერ უზრუნველყოფს, მაგალითად, არ სთავაზობს მუშაკებს ჯანმრთელობის დაზღვევას, სამედიცინო შვებულებას, საპენსიო სარგებელს და ანაზღაურებად შვებულებებს - რაც, როგორც წესი, პროფკავშირების საშუალებით მიიღწეოდა. ამრიგად, ის მუშაკები, რომლებსაც წილად ხვდებათ დაბალი ანაზღაურების მომსახურებისა და საცალო გაყიდვების ფირმებში დასაქმება, ახლა უფრო მეტად გაჭირვებულები არიან, რადგან მათ ხელფასები არ ყოფნით ელემენტარული საჭიროებების დასაფარად. გარდა ამისა, ადგილობრივი ეკონომიკაც ცუდ დღეშია, რადგან მოსახლეობას ნაკლები ფული აქვს იმავე უბანში დასახარჯად.[34]

1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, დასაქმების ადგილები ცენტრალურ ქალაქებიდან არსებითად გარეუბნებში გადავიდა. 1980 წლიდან დასაქმების ზრდის ორ მესამედზე მეტი ცენტრალურ ქალაქს მიღმა წარმოიქმნა: წარმოების 70 პროცენტზე მეტი ქალაქგარეთაა და საბითუმო და საცალო ვაჭრობის 70 პროცენტზე ოდნავ ნაკლებია გარეუბნებშია თავმოყრილი.[35] მრავალი ცენტრალური ქალაქის გარეუბნები, რომლებიც თავდაპირველად იმ მიზნით განვითარდა, რომ მოსასვენებელი სივრცე ყოფილიყო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ცენტრალურ, წარმოებით დატვირთულ უბნებში მიდიოდნენ სამუშაოდ, ახლა უკვე თავად გახდა დასაქმების ცენტრები. მაგალითად, დეტროიტში, ფილადელფიასა და ბალტიმორში, სამუშაო ადგილების 20 პროცენტზე ნაკლები მდებარეობს ქალაქის ცენტრში და მისგან სამი მილის რადიუსში.[36]

სამსახურებში მგზავრობის წესის ცვლილება ასევე თან ახლავს გარეუბნების ეკონომიკის ზრდას. სულ უფრო და უფრო მეტი მუშაკი სრულად არიდებს თავს ქალაქის ცენტრს ერთი გარეუბნიდან მეორე გარეუბანში მისასვლელად. მაგალითად, „კლივლენდის რეგიონში, მუშაკთა ერთ მესამედზე ნაკლები მიდის სამუშაოდ ქალაქის ცენტრში, ნახევარზე მეტი (55 პროცენტი) ერთი გარეუბნიდან მეორე გარეუბანში მიდის სამუშაოდ.“[37]

სამსახურების გაფანტვა და ეკონომიკური სტაგნაცია ქალაქის ცენტრის მაცხოვრებლებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს უმცირებს და ხელს უწყობს ამ უბნების ეკონომიკურ დაღმასვლას. *სივრცითი შეუსაბამობა* არის ის ტერმინი, რომელსაც სოციოლოგები იყენებენ იმ ურთიერთობის აღსაწერად, რაც შიდა ქალაქის მაცხოვრებლებსა და გარეუბანში მდებარე სამუშაო ადგილებს შორის არსებობს: დასაქმების შესაძლებლობები გეოგრაფიულად არის გამოთიშული იმ ადამიანებისგან, რომელთაც სამუშაო სჭირდებათ. მაგალითად, კლივლენდში, მიუხედავად იმისა, რომ დაბალკვალიფიციური მუშაკები კონცენტრირებულნი არიან ქალაქის შიდა უბნებში, ამ ტიპის სამუშაოების 80 პროცენტი განლაგებულია გარეუბნებში.[38] ტრანსპორტირების გზების სიმცირე ამ შეუსაბამობას კიდევ უფრო ამძაფრებს. იმ გამოწვევების გარდა, რაც ვაკანსიების არსებობის შესახებ ინფორმაციის გაგებასა და სამუშაო ადგილას მისვლასთან დაკავშირებით არსებობს, სახეზეა მუშაკების დაქირავების დროს მუდმივი რასობრივი დისკრიმინაცია, განსაკუთრებით უმცროსი და ნაკლებად გამოცდილი უმცირესობების მიმართ.[39]

უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახების გადინებასთან ერთად ცენტრალურ უბნებში დარჩნენ საზოგადოების ყველაზე შეზღუდული გადაადგილების შესაძლებლობის მქონე პირები — ძირითადად, დაბალი შემოსავლების მქონე ფერადკანიანი ხალხი. ისინი იმ უბნებში ცხოვრობენ, სადაც მაღალია სიღარიბის კონცენტრაცია და უარესდება ფიზიკური გარემოც. ამ უბნებში ცოტა სამუშაო ადგილია და, როგორც წესი, აქ არ არსებობს ძირითადი მომსახურებები და კეთილმოწყობა, მაგალითად, ბანკები, სასურსათო მაღაზიები და სხვა საცალო ვაჭრობის დაწესებულებები, პარკები და ხარისხიანი ტრანსპორტი.[40]

როგორც წესი, ასეთი უბნების მოსახლეობა ასევე იტანჯება უხარისხო სკოლების გამო, რომელთაგან ბევრი ფიზიკურადაც არის დანგრეული. უბნების დაღმასვლის ორი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში

მიტოვებული შენობები და ვაკანტური მიწებია. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი დოკუმენტის თანახმად, ფილადელფიაში 60,000 მიტოვებული და ვაკანტური საკუთრებაა, დეტროიტში 40 000, ხოლო ბალტიმორში 26 000.[41] ქალაქების შიდა უბნებში ობიექტები დაცარიელდა უფრო ეკონომიურად მობილური ოჯახების გადინებასთან ერთად და მრავალი წარმოების ინდუსტრიის გარეუბნებში გადასვლის შემდეგ.[42]

კულტურული ფაქტორების როლი

იმის მიუხედავად, რომ ამ სტრუქტურულ ცვლილებებს დიდი გავლენა ჰქონდათ ქალაქის შიდა უბნებზე, ამერიკაში არსებობს ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ქალაქის ცენტრში ჟამივით მოდებული პრობლემების მიზეზი რასობრივი დისკრიმინაცია ან სეგრეგირებულ სიღარიბეში ცხოვრება ნაკლებად არის. ბევრი ამერიკელისთვის მთავარი პასუხისმგებლობა სოციუმში თავიანთ დაბალ სოციალურ და ეკონომიკურ მიღწევებზე ინდივიდსა და ოჯახს ეკისრება. თუ ამ მოსაზრებას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დავაყენებთ, მაშინ ამ შეხედულების მიხედვით გეტოში მცხოვრები ღატაკების პრობლემების სათავედ კულტურული მახასიათებლები იქნება მოაზრებული.

სოციალური ურთიერთკავშირისას კულტურა გვთავაზობს იარაღებს (ჩვევებს, უნარებს, სტილს) და ქმნის შეზღუდვებს (ზღუდავს და საზღვრებს უწესებს მსოფლმხედველობას და ქცევებს). ეს შეზღუდვები მოიცავს კულტურულ ჩარჩოებს (ჯგუფის საერთო რეალობის შენებას), რასაც გავლენა აქვს ან უშუალოდ იწვევს სოციალურ ქმედებებს და ეს ქმედება შეიძლება რასობრივ უთანასწორობებსაც აძლიერებდეს. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ რასობრივად განცალკევებულ, ღარიბ უბანში ცხოვრების ერთ-ერთი შედეგი იმ კულტურული ჩარჩოების, ჩვევებისა და ქცევის სტილის ხშირად ნახვა და ის სპეციფიკური უნარებია, რომლებიც რასობრივი გამორიცხვის მაგალითებიდან ამოიზრდება და ეს მახასიათებლები და პრაქტიკები შეიძლება სოციალურ მობილობას ხელს არ უწყობდეს. მაგალითად, ზოგმა სოციალურმა მეცნიერმა განიხილა ე.წ. cool-pose კულტურის უარყოფითი გავლენა, რომელიც ქალაქის ცენტრში ახალგაზრდა შავკანიანი მამაკაცებს შორის არის გავრცელებული და რომელიც გულისხმობს ადამიანების სექსუალურ დამორჩილებას, ქუჩაში დგომას სკოლის შემდეგ, კლუბური ნარკოტიკების მოხმარებას და ჰიპ-ჰოპის მოსმენას. მიჩნეულია, რომ ქცევის ეს ნიმუშები ფართო სოციუმში სოციალურ მობილობას უშლის ხელს.[43]

თუმცა კულტურის შესახებ არგუმენტის გამოყენება საფრთხილოა. ყველამ, ვისაც ამერიკული სოციუმის გაგება სურს, უნდა იცოდეს, რომ ქალაქის ცენტრის მაცხოვრებლების კულტურულ მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილება პოლიტიკური კურსის შემქმნელებს და საზოგადოებას პასუხისმგებლობას ბევრად უფრო აარიდებს, ვიდრე სტრუქტურულ მიზეზებზე ყურადღების გამახვილება. რთულია თვალი არ გავუსწოროთ იმ ფაქტს, რომ ამერიკელები, როგორც წესი, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სიღარიბისა და კეთილდღეობის სტრუქტურულ მიზეზებს და სოციალურ შედეგებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოპულარული შეხედულებაა, რომ ადამიანები ღარიბები ან სახელმწიფოს დახმარებაზე დამოკიდებულები პირადი ნაკლოვანებების გამო არიან. შესაძლოა ეს ტენდენცია ჩვენი „მკაცრი ინდივიდუალიზმის“ ტრადიციებიდან გამომდინარეობდეს. თუ ამერიკაში შეიძლება გახდეთ ის, რაც თქვენ გსურთ, მაშინ ნებისმიერი ბედისწერა, თუნდაც სიღარიბე, შეიძლება პიროვნული მიღწევის ან წარუმატებლობის პრიზმიდან აღიქმებოდეს. რა თქმა უნდა, მართალია, რომ ამერიკელთა უმეტესობას არ ესმის ან არ იცის ქალაქის ცენტრში რასისა და სიღარიბის მრავალშრიანი ბუნების შესახებ და, შესაბამისად, ფართოდ მიღებული კულტურული ახსნა-განმარტებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანების პირად მახასიათებლებზე, უფრო ფართოდაა გაზიარებული.

ჩვენ მარტივად დავინახავთ, რომ ამერიკულ აზროვნებაში დომინირებს ის განმარტებები, რომლებიც ფოკუსირდება ინდივიდის ხასიათსა და შესაძლებლობებზე. განვიხილოთ ეროვნული საზოგადოებრივი აზრის კვლევა. 1969 და 1980 წლებში შეგროვებული ეროვნული გამოკითხვის მონაცემების ანალიზის შემდეგ, ჯეიმს რ. კლეგელმა და ელიოტ სმიტმა დაასკვნეს, „ამერიკელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ეკონომიკური წინსვლის შესაძლებლობა ფართოდ არის ხელმისაწვდომი, რომ ეკონომიკური შედეგები ინდივიდების ძალისხმევით და ნიჭით (ან მათი ნაკლებობით) არის

განპირობებული და რომ ზოგადად, ეკონომიკური უთანასწორობა სამართლიანია.“[44] მართლაც, ამ ორ ამერიკულ ეროვნულ კვლევაში კითხვებზე პასუხებმა აჩვენა, რომ სიღარიბის შესახებ ინდივიდუალისტური ახსნა (მაგ. ძალისხმევის ან უნარის ნაკლებობა, დაბალი მორალის ქონა, მუშაობის უნარების ნაკლებობა) ბევრად უფრო დომინირებდა, ვიდრე მიზეზების სტრუქტურული ახსნა (მაგ., ადეკვატური სწავლების არარსებობა, დაბალი ხელფასები, სამუშაო ადგილების ნაკლებობა). გამოკითხვის დროს ყველაზე ხშირად შერჩეულ პასუხებს წარმოადგენდა: „ხელმომჭირნეობის ან სწორი მენეჯმენტის უნარების არქონა,” „ძალისხმევის ნაკლებობა,“ „უნარის ან ნიჭის არქონა“ (ოჯახში არსებული დამოკიდებულებები, რომლებიც აფერხებს სოციალურ მობილურობას), „საზოგადოების მარცხი, მოსწავლეების კარგი სკოლებით უზრუნველსაყოფად“ და „ცუდი ზნეობა და სიმთვრალე.“ გარდა იმ პასუხისა, რომელიც მიუთითებდა „საზოგადოების მარცხზე, კარგი სკოლებით უზრუნველეყოთ მოსწავლეები,“ ყველა დანარჩენი პასუხი მიუთითებს ინდივიდის ნაკლოვანებებზე, როგორც სიღარიბის გამომწვევ მიზეზზე. ამერიკელებმა, რომლებმაც გამოკითხვაში მიიღეს მონაწილეობა, სტრუქტურულ ფაქტორებს ყველაზე არამნიშვნელოვანი როლი მიანიჭეს, მაგალითად, ყველაზე ნაკლებ დასახელებული იყო „დაბალი ხელფასი“, „ინდუსტრიის მარცხი, შეექმნათ სამუშაო ადგილები“ და „რასობრივი დისკრიმინაცია“. ამ სხვადასხვა ფაქტორების მნიშვნელობის თანმიმდევრობა ამერიკელებისთვის პრაქტიკულად უცვლელი დარჩა 1969-1980 წლებში.

1990 წელს ჩატარებულმა კვლევის ანგარიშმა, რომელიც ლოურენს ბობოს და რაიან ა სმიტს ეკუთვნის, აჩვენა უმნიშვნელო ზრდა მათ შორის, ვინც სიღარიბეს ინსტიტუციურ და სტრუქტურულ მიზეზებს უკავშირებს, ადამიანები განსაკუთრებით გამოყოფენ ”ინდუსტრიის მარცხს, საკმარისი სამუშაოების უზრუნველსაყოფად.”[45] მიუხედავად ამისა, ამერიკელები მაინც მტკიცედ იზიარებენ იმ აზრს, რომ პირები დიდწილად პასუხისმგებელნი თავად არიან თავიანთ ეკონომიკურ სტატუსზე. გამოკითხვა სამჯერ ჩატარდა — 1969, 1980 და 1990 წლებში — და სიღარიბის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი იყო "თავად ღარიბი ადამიანების ძალისხმევის ნაკლებობა." მეტიც, სამივე გამოკითხვის შედეგად, ათიდან ცხრაზე მეტ ზრდასრულ ამერიკელ ადამიანს მიაჩნია, რომ ძალისხმევის ნაკლებობა ძალიან მნიშვნელოვანია ან გარკვეულწილად მნიშვნელოვანია სიღარიბის თვალსაზრისით. 10 პროცენტზე ნაკლები ფიქრობდა, რომ ეს ფაქტორი არ არის მნიშვნელოვანი.

ამერიკელები ინდივიდუალისტურ ფაქტორებს დღესაც დიდ წონას ანიჭებენ. Pew-ს კვლევითი ცენტრის მიერ 2007 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ „ამერიკელების ორი მესამედი თვლის, რომ აფრო-ამერიკელების წინსვლაში ხელისშემშლელი მიზეზებიდან პიროვნულ ფაქტორებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე რასობრივ დისკრიმინაციას. მხოლოდ 19% ასახელებს მიზეზად დისკრიმინაციას.“[46] აშშ-ს თეთრკანიანი მოსახლეობის ორი მესამედი (71 პროცენტი), ლათინო ამერიკელთა უმრავლესობა (59 პროცენტი) და შავკანიანთა უმრავლესობაც კი (53 პროცენტი) „ფიქრობს, რომ შავკანიანები, რომლებიც ვერ ახერხებენ ცხოვრებაში წინ წაწევას, თავად არიან მთავარი პასუხისმგებელნი საკუთარ მდგომარეობაზე.“[47] [...]

ამერიკული კულტურული სენტიმენტის სიძლიერე, რომლის მიხედვითაც ინდივიდებს ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა სიღარიბეში ცხოვრებისთვის, დილემას წარმოადგენს მათთვის, ვისაც სიღარიბეში მცხოვრები შავკანიანი ამერიკელების მდგომარეობის ყოვლისმომცველი ახსნა სურთ. რატომ? იმიტომ, რომ აშშ-ში კულტურული არგუმენტები, რომლებიც ფოკუსირებულია ინდივიდუალურ მახასიათებლებსა და ქცევაზე, ყოველთვის უფრო მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე სტრუქტურული ახსნები. ვფიქრობ, რომ სოციოლოგს აქვს ვალდებულება, მისი სტრუქტურული არგუმენტი მკითხველს კარგად გააგებინოს, სოციოლოგმა ის კონტექსტი უნდა აჩვენოს, რომელიც გრძელვადიან ეკონომიკურ და რასობრივ დაქვემდებარებაზე კულტურულ პასუხებს ახსნის.

ნება მომეცით ეს იდეა განვავრცო იმ კვლევებზე ფოკუსირებით, რომლებიც იმ უბნებში ცხოვრების შედეგებს ეხება, სადაც კონცენტრირებულია სიღარიბე. 1980-იანი წლების ბოლოდან ასობით კვლევა გამოქვეყნებულა უბნებში კონცენტრირებული სიღარიბის შედეგებზე. კვლევების თანახმად, კონცენტრირებული სიღარიბე ზრდის (ძირითადი ინსტიტუციებიდან) სოციალური იზოლაციის, უმუშევრობის, სკოლის მიტოვების, დაბალი საგანმანათლებლო მიღწევების, დანაშაულში მონაწილეობის

ალბათობებს, ზრდასრულებში წარუმატებელი ქცევის განვითარებისა და სამართალდარღვევების, დაუქორწინებელი მშობიარობისა და ოჯახის წარუმატებელი მართვის ალბათობებს.[48] ზოგადად, კვლევები აჩვენებს, რომ კონცენტრირებული სიღარიბე უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ცხოვრების შესაძლებლობებზე ადრეული ასაკიდან ზრდასრულობის ჩათვლით.

თუმცა, ზოგი მეცნიერი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ეს კვლევები ამ უბნებში ცხოვრების შედეგებზე დასკვნებს ისეთი მონაცემების საფუძველზე აკეთებს, რომ თვით-შერჩევითობის ხარვეზზე (self-selection bias) არაფერს ამბობს. თვით-შერჩევითობის ხარვეზი არის ტერმინი, რომელიც აღწერს იმ შედეგებს, რაც ერთნაირი მახასიათებლების მქონე ადამიანების ერთად დაჯგუფებას მოაქვს. თვით-შერჩევითობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ის შედეგები, რასაც ღარიბ უბნებს მივაწერთ, შეიძლება სინამდვილეში გამოწვეული იყოს იქ მცხოვრები ოჯახებისა და პირების პირადი მახასიათებლებიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი თვლიან, რომ არახელსაყრელი უბნები კი არ იწვევს ცუდი შედეგებს, არამედ ამ უბნებში დიდი ალბათობით თავს იყრიან ისეთი ოჯახები, რომლებსაც აქვთ მუშაობის ყველაზე სუსტი უნარები, საკუთარი შვილების სოციალური განვითარების შესახებ ყველაზე ნაკლებ ინფორმირებულები არიან და არ აღელვებთ მათზე ადგილობრივი გარემოს შედეგები, აქვთ ისეთი დამოკიდებულებები, რომლებიც ხელს უშლის მათ სოციალურ მობილობას და ყველაზე მძიმე პირადი პრობლემები აწუხებთ.

შთამბეჭდავ კვლევაში, რომელიც სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე ეკონომიკურ მობილობას რამდენიმე თაობაში იკვლევს, პატრიკ შარკიმ აღმოაჩინა, რომ „იმ შავკანიანი ბავშვების 70%-ზე მეტი, რომლებიც ყველაზე ღარიბ ამერიკულ კვარტლებში იზრდებიან, ზრდასრულობაშიც ამ ყველაზე ღარიბ კვარტლებში აგრძელებენ ცხოვრებას.“[49] მან ასევე დაადგინა, რომ 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, იმ შავკანიანი ოჯახების უმრავლესობა, რომლებიც უღარიბეს უბნებში იყრიან თავს, იქ თაობების განმავლობაში ცხოვრობენ, თეთრკანიან ოჯახებში ეს რიცხვი 7%-ია. ამრიგად, ის ასკვნის, რომ შავკანიანი ღარიბი უბნების ცხოვრების უარყოფითი მხარეები, ისევე, როგორც თეთრკანიან, მდიდარ სამეზობლოებში ცხოვრების უპირატესობები დიდწილად მემკვიდრეობითია.

შესაბამისად, უბნებს შორის უთანასწორობის მდგრადობა სერიოზულ კითხვებს ბადებს იმ ნაშრომების გარშემო, რომლებიც ღარიბ უბნებში ცხოვრების შედეგებს იკვლევს. ამ კვლევების დიდი ნაწილი სათანადოდ ვერ აფასებს რასობრივ უთანასწორობას, რადგან უბნების სიღარიბის ან შემოსავლების გასაზომად დროის მხოლოდ ერთ წერტილს ან მხოლოდ ერთ თაობას უყურებს.[50] თუ ყველაზე ღარიბ უბნებში თეთრკანიანი ოჯახები მხოლოდ დროებით ცხოვრობენ, შავკანიანი ოჯახების უმეტესი ნაწილი, რომლებიც 1970-იან წლებში ასეთ უბნებში ცხოვრობდა, დღესაც იქ ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, შარკი ვარაუდობს, რომ კვლევების ფოკუსს უნდა წარმოადგენდეს იმის შემოწმება, რა განსხვავებული შედეგები აქვს ღარიბ უბნებში ცხოვრებას ორი ან მეტი თაობის მანძილზე მოკლევადიან ცხოვრებასთან შედარებით. [...]

სამწუხაროა, რომ ძალიან მწირია კვლევები კრებით კულტურულ გამოცდილებაზე. მუდმივი ეკონომიკური დაქვემდებარებისა და უპატივცემულობის გავლენა ადამიანების ფსიქოლოგიურ მიდრეკილებასა და ემოციურ მდგომარეობაზე ნაწილობრივ შეიძლება დამოკიდებული იყოს კულტურულ რესურსებზე, რისი მეშვეობითაც მათ უნდა ახსნან, რა ხდება მათ თავს. ამის მაგალითია შეურაცხყოფის მოგერიების ისეთი კულტურული ჩარჩო, რომელიც რასობრივი სიამაყის ძლიერ გრძნობას აჩენს. დროთა განმავლობაში, „საერთო ფსიქოლოგიური მიდრეკილებები შეიძლება კრისტალიზებული იყოს კულტურულ პროდუქტებსა და პრაქტიკაში.“[51]

ამრიგად, თუ ნამდვილად გვინდა ადამიანთა ჯგუფებში განსხვავებული სოციალური შედეგების დაფასება და ახსნა, სტრუქტურული გავლენის გარდა, უბნებში არსებულ სხვადასხვა სახის კულტურულ გავლენებსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. მაგრამ, ვიმეორებ, რომ ამაზე საუბრისას სტრუქტურული ფაქტორების ძლიერი გავლენა მეორეხარისხოვანი არ უნდა გახდეს.

სტრუქტურა კულტურის წინააღმდეგ

როგორც აღვნიშნე, ღარიბ უბნებში ცხოვრების სტრუქტურული შედეგები არ უნდა უგულვებელყოთ ან მსუბუქად არ გავიგოთ, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, ცხადად წარმოვაჩინოთ, რომ უბნებში ცვლილებების მისაღწევად სტრუქტურულ ფაქტორებს ბევრად უფრო დიდი როლი აქვთ, ვიდრე კულტურულ ფაქტორებს. ამ არგუმენტის საკმაოდ დამაჯერებელი სტრუქტურული არგუმენტი მოცემულია ტეხასის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერის, პოლ ჟარგოვსკის, ორ კვლევაში. პირველ ნაშრომში, რომელსაც ჰქვია „სიღარიბე და ადგილი“ და რომელიც 1997 წელს Russell Sage Foundation-ის მიერ გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი წიგნია, ჟარგოვსკი ცხადყოფს, რომ ეკონომიკური აქტივობების ცვლილება მჭიდრო კავშირშია უბნების სიღარიბის სწრაფ ზრდასთან და შემცირებასთან. სწრაფმა ეკონომიკურმა აღმასვლებმა სამხრეთ-დასავლეთში 1970-იან წლებში და ჩრდილო-აღმოსავლეთში 1980-იან წლებში გეტოების სიღარიბე მკვეთრად შეამცირა. საყოველთაო საშუალო შემოსავლის ზრდამ შავკანიან გეტოში სიღარიბის კონცენტრაციის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია.

როგორც ჟარგოვსკი სწორად შენიშნავს, „სამეზობლოების თვითმარჩენალი კულტურა გულისხმობს, რომ სამეზობლო სიღარიბის დონე ნელა რეაგირებს, ან საერთოდ არ რეაგირებს ეკონომიკური შესაძლებლობის ზრდაზე.”[52] თუმცა, ამ ვარაუდს ძირს უთხრის მისი წიგნი „სიღარიბე და ადგილი“ და არა მხოლოდ ეს ნაშრომი. მოგვიანებით მის ანგარიშში, რომელიც ჟარგოვსკიმ ბრუკინგსის ინსტიტუტისთვის მოამზადა, გამოვლინდა, რომ 1990 წლიდან 2000 წლამდე ეკონომიკური ზრდის გამო, განსაკუთრებით 1990-იანი წლების ბოლო ნახევარში სიღარიბის მაღალმაჩვენებლიან უბნებში მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი შემცირდა 24 პროცენტით, ანუ 2.5 მილიონი ადამიანით. უფრო მეტიც, ქვეყნის მასშტაბით მეოთხედზე მეტით შემცირდა ისეთი უბნების რაოდენობა, სადაც მოსახლეობის მინიმუმ 40 პროცენტია სიღარიბის დონის ქვემოთ.[53]

1990 წელს ამერიკელი შავკანიანი მოსახლეობის თითქმის მესამედი ასეთ უბნებში ცხოვრობდა, 2000 წლის მაჩვენებელი კი 19 პროცენტი იყო. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, შეერთებულ შტატებში აფრო-ამერიკელებს, ყველა სხვა ჯგუფთან შედარებით, ჯერ კიდევ აქვთ კონცენტრირებული სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ნაწილობრივ, ქალაქის შიდა უბნების გეტოების მდგომარეობა არის ისტორიული რასობრივი დამორჩილების მემკვიდრეობა. უბნები, სადაც კონცენტრირებულია სიღარიბე, ყველაზე თვალსაჩინო და შემაშფოთებელი მაგალითია რასობრივი და კლასობრივი სეგრეგაციის. ხოლო კონცენტრირებული სიღარიბის მკვეთრი ვარდნა 1990-იანი წლებიდან 2000 წლამდე არ შეიძლება აიხსნას კულტურის არგუმენტით. უფრო მეტიც, ეს ძვრები ცხადყოფს, რომ აფრო-ამერიკელების და სხვა რასობრივი ჯგუფების ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე ეკონომიკის ცვლილებებთან.

ამას ჟარგოვსკის მონაცემები კარგად ასახავს. 90-იანი წლების კონცენტრირებული სიღარიბის ნაწილობრივი დაძლევა არა მხოლოდ რამდენიმე ქალაქში შეიმჩნეოდა, არამედ ქვეყნის მასშტაბით. ამის საპირისპიროდ, ლოს ანჯელესი და ვაშინგტონი იყო ის ცენტრალური ქალაქები, სადაც 90-იანი წლების განმავლობაში კონცენტრირებული სიღარიბე გაიზარდა. ჟარგოვსკი გამოყოფს სამ არგუმენტს, რომლებიც ხსიან ლოს ანჯელესში გამოკვეთილ განსხვავებულ ტენდენციას: (1) როდნი კინგის განაჩენმა 1992 წელს დამანგრეველი აჯანყება გამოიწვია, (2) მნიშვნელოვანი იყო ლათინოამერიკელი მიგრანტების რაოდენობის ზრდა, რომლებიც მექსიკიდან და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებიდან ღარიბ უბნებში გადმოვიდნენ და (3) „1990-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკური დაღმასვლა განსაკუთრებით მძიმე იყო სამხრეთ კალიფორნიაში და ქვეყნის ეს ნაწილი საწყის ეკონომიკურ მდგომარეობას ის ისე სწრაფად ვერ დაუბრუნდა, როგორც კალიფორნიის სხვა ნაწილები.“[54]

ვაშინგტონში 1990-იანი წლების შუაში დამანგრეველმა ფისკალურმა კრიზისმა გამოიწვია საზოგადოებრივი სერვისების მკვეთრი შეკვეცა და რეგიონის ხელისუფლებისადმი საზოგადოებრივი ნდობის შემცირება. მოვლენების ასეთმა განვითარებამ ხელი შეუწყო „მოკრძალებული და საშუალო შემოსავლის მქონე შავკანიანი ოჯახების სწრაფ მიგრაციას, განსაკუთრებით მერილენდის გარეუბნის მუნიციპალიტეტებში, ცენტრალური ქალაქის აღმოსავლეთით. ღარიბები კი ეკონომიკურად იზოლირებულ უბნებში ჩარჩნენ დარჩნენ, სადაც უფრო და უფრო იზრდებოდა სიღარიბის დონე.“[55]

პრაქტიკულად, ყველა რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფში დაიკლო სიღარიბემ. იმ უბნებში, სადაც თავმოყრილი იყო სიღარიბე, თეთრკანიანი მაცხოვრებლების რაოდენობა შემცირდა 29 პროცენტით (2,7 მილიონი ადამიანიდან ჩამოვიდა 1,9 მილიონამდე), ხოლო შავკანიანთა რიცხვი შემცირდა 36 პროცენტით (4,8 მილიონიდან ჩამოვიდა 3,1 მილიონამდე). ლათინოები წარმოადგენდნენ გამონაკლისს, რადგან მათი რიცხვი მაღალი კონცენტრაციის სიღარიბის ადგილებში 90-იან წლებში ოდნავ, 1.6 პროცენტით, გაიზარდა. თუმცა ეს აღმოჩენა უფრო ფართო კონტექსტში უნდა გავიგოთ, ლათინური მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა: 90-იან წლებში ლათინოების რიცხვი გაიზარდა 57.9 პროცენტით, აფრო-ამერიკელი მოსახლეობის 16.2 პროცენტიან და თეთრკანიანების 3.4 პროცენტიან ზრდასთან შედარებით.[56] ლათინური მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით დაბალი კვალიფიკაციის ემიგრანტების ტალღამ გამოიწვია. ყველა რასის გათვალისწინებით, სიღარიბის კონცენტრაციის შემცირება ყველაზე მეტად შეიმჩნეოდა სამხრეთ და შუა დასავლეთში, ხოლო ყველაზე ნაკლებად — ჩრდილო-აღმოსავლეთში, რაც აირეკლავდა უფრო ფართო ეკონომიკურ ტენდენციებს.[57] ამრიგად, მაღალი სიღარიბის კონცენტრაციის უბნების რაოდენობის შემცირება და ამ უბნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება ეკონომიკური სწრაფი ზრდის დამსახურება უნდა იყოს და ეს არაა მუდმივი ტენდენცია. 2000 წლიდან გაიზარდა უმუშევრობა და ინდივიდუალური სიღარიბის დონე, და ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სიღარიბის კონცენტრირებული დონე კვლავ იზრდება [...].

კონცენტრირებული სიღარიბის ადრეული ზრდა დაიწყო ყველა ამერიკელისთვის შემოსავლის უთანასწორობის ზრდის პერიოდში, 1970-იანი წლების დასაწყისში. ინფლაცის გათვალისწინებით, ეს იყო პერიოდი, როდესაც ღარიბ მოსახლეობას შეუმცირდა საშუალო შემოსავალი და მზარდი ეკონომიკური სეგრეგაციის დაიწყო, რომელიც ქალაქების შიდა უბნებიდან საშუალო შემოსავლის ოჯახების გასვლამ გამოიწვია. შერეული შემოსავლის მქონე უბნები სწრაფად იქცნენ ღარიბ უბნებად. ეჭვგარეშეა, რომ თუკი 90-იანი წლების ბოლოს არსებული ძლიერი ეკონომიკა რამდენიმე წელს შენარჩუნდებოდა, 2001 წლის მოულოდნელი შეჩერების მაგივრად, ქალაქების უბნებში კონცენტრირებული სიღარიბე კიდევ უფრო შემცირდებოდა. აქ, კიდევ ერთხელ, ჩვენ ვხვდებით სტრუქტურული მიზეზების მნიშვნელობასა და ძალას კონცენტრირებულ სიღარიბესთან მიმართებით — ამ შემთხვევაში, ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას.

დასკვნა

ამ თავში მე განვიხილე ის რამდენიმე სტრუქტურული მიზეზი, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა ქალაქის შუაგულში არსებულ შავკანიანთა უბნებზე. ეს მიზეზები მოიცავს პოლიტიკურ ნაბიჯებს, რომლებიც ღიად რასობრივი იყო, ან რაზე გავლენაც ნაწილობრივ ჰქონდა რასას და იმ ნაბიჯებსაც, რომლებიც ერთი შეხედვით რასობრივი არ ყოფილა (მაგრამ ამის მიუხედავად შავკანიანთა უბნებს დიდი დარტყმა მიაყენა), ასევე მოიცავს ეკონომიკურ მიზეზებს, რომლებმაც ქალაქებში უბნების უკუსვლა გამოიწვია და გააღრმავა რასობრივი და კლასობრივი უთანასწორობები გარეუბნებსა და ქალაქებს შორის. ამ ფაქტორების ურთიერთქმედების ერთ-ერთი შედეგი იყო გაუკაცრიელებული გეტოს წარმოქმნა, განსაკუთრებით ცენტრალურ დასავლეთში და ჩრდილო-აღმოსავლეთში.

სახელმწიფოს ტრანსპორტირებისა და გზატკეცილების პოლიტიკამ, ასევე იპოთეკური პროცენტის გადასახადებისგან გათავისუფლებამ ქალაქის შუაგულში მდებარე უბნებიდან ინდუსტრიებისა და არაღარიბი ოჯახების გადინებას შეუწყო ხელი. ქალაქის ცენტრში ინდუსტრიულ საწარმოებში სამუშაო ადგილების შემცირებამ 1970 წლისთვის სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიმავალი მეორე დიდი მიგრაციის ტალღა შეაჩერა. ამბების ამგვარმა განვითარებამ, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ცენტრალურ დასავლეთში, ბევრი ღარიბი აფრო-ამერიკული უბნის ტრანსფორმაცია გამოიწვია. სამხრეთიდან ახლადჩამოსული მიგრანტების მიერ მჭიდროდ დასახლებული სივრცეებიდან ეს უბნები გადაიქცა მუშა და საშუალო კლასების მიერ მიტოვებულ უბნებად. […]

დასასრულს, როგორც ამ თავში ჩანს, თუკი ადამიანი ცდილობს ახსნას სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მიზეზები, ძალიან მცირეა მტკიცებულება იმის სასარგებლოდ,

რომ კულტურულ ფაქტორებს ისეთივე ძალაუფლება აქვს, როგორც სტრუქტურულ მიზეზებს. ამ თვალსაზრისის ილუსტრაციისთვის მხოლოდ ამ თავში განხილული 1990-იანი წლების ეკონომიკური აღმასვლის გავლენაც კი შეგვიძლია მოვიყვანოთ, რამაც კონცენტრირებული რასობრივი სიღარიბე ნაწილობრივ შეამცირა. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შიდა ქალაქებში მიმდინარე პროცესებში, მტკიცებულებები გვაჩვენებს, რომ ისინი მეორეხარისხოვანია უფრო დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან შედარებით, იქნება ეს რასობრივი თუ არარასობრივი ფაქტორები. შემდეგ თავებში შევეცდები წარმოვაჩინო, რომ სტრუქტურული პირობები ქმნის იმ კონტექსტს, რომელშიც მუდმივ ეკონომიკურ და რასობრივ დაქვემდებარებაზე საპასუხო კულტურული ქმედებები იბადება.

---

[1] William Julius Wilson, *When Work Disappears: The World of the New Urban Poor* (New York: Knopf, 1996).

[2] Paul Jargowsky, "Ghetto Poverty among Blacks in the 1980s," Journal of Policy Analysis and Management 13 (1994), 288–310.

[3] იხილეთ შემდეგი თავები წიგნიდან The "Underclass" Debate: Views from History, ed. Michael B. Katz (Princeton, NJ: Princeton University Press, 1993): Michael B. Katz, "Reframing the 'Underclass' Debate," 440–78; David W. Bartelt, "Housing the 'Underclass,'" 118–57; Thomas J. Sugrue, "The Structure of Urban Poverty: The Reorganization of Space and Work in Three Periods of American History," 85–117; და Robin D. G. Kelley, "The Black Poor and the Politics of Opposition in a New South City," 293–333.

[4] Katz, "Reframing the 'Underclass' Debate," 462. ასევე იხილეთ Bartelt "Housing the 'Underclass'" Sugrue, "Structure of Urban Poverty" and Martin Anderson, The Federal Bulldozer: A Critical Analysis of Urban Renewal, 1949–1962 (Cambridge, MA: MIT Press, 1964).

[5] Raymond Mohl, "Planned Destruction: The Interstates and Central City Housing," წიგნში From Tenements to Taylor Homes: In Search of an Urban Housing Policy in Twentieth-Century America, eds. John F. Bauman, Roger Biles, and Kristin Szylvian (University Park, PA: State University Press, 2000), 226–45; Adam Cohen and Elizabeth Taylor, American Pharaoh: Mayor Richard J. Daley—His Battle for Chicago and Nation (Boston: Little, Brown, 2000); Arnold R. Hirsch, Making the Second Ghetto: Race and Housing in Chicago, 1940–1960 (Cambridge: Cambridge University Press, 1983).

[6] Cohen და Taylor, American Pharaoh.

[7] Charles E. Connerly, "From Racial Zoning to Community Empowerment: The Interstate Highway System and the African American Community in Birmingham, Alabama," Journal of Planning Education and Research 22 (1992), 99–114.

[8] Connerly, "From Racial Zoning" Ronald H. Bayor, "Roads to Racial Segregation: Atlanta in the Twentieth Century," Journal of Urban History 15 (1988), 3–21.

[9] Katz, "Reframing the 'Underclass' Debate" Kenneth T. Jackson, Crabgrass Frontier: The Suburbanization of the United States (New York: Oxford University Press, 1985); and Ira Katznelson, When Affirmative Action Was White: An Untold History of Racial Inequality in Twentieth-Century America (New York: W. W. Norton, 2005).

[10] Robert J. Sampson and William Julius Wilson, "Toward a Theory of Race, Crime, and Urban Inequality," in Crime and Inequality, eds. John Hagan and Ruth Peterson (Stanford, CA: Stanford University Press, 1995), 37–54.

[11] Rosalyn Baxandall and Elizabeth Ewen, *Picture Windows: How the Suburbs Happened* (New York: Basic Books, 2000).

[12] Katz, "Reframing the 'Underclass' Debate," 461–62. ამერიკაში გარეუბნებთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ იხილეთ Jackson, Crabgrass Frontier. საცხოვრებლის დისკრიმინაციის შედეგებზე იხილეთ John Yinger, Closed Doors, Opportunities Lost: The Continuing Costs of Housing Discrimination (New York: Sage Foundation, 1995).

[13] Mark Condon, *Public Housing, Crime and the Urban Labor Market: A Study of Black Youth in Chicago*, Working Paper Series, no. H-91-3 (Cambridge, MA: Malcolm Wiener Center, John F. Kennedy School of Government, Harvard University, 1991).

[14] იქვე, 3.

[15] იქვე, 4.

[16] იქვე, 4.

[17] Sampson and Wilson, "Toward a Theory of Race." აგრეთვე იხილეთ Bartelt, "Housing the 'Underclass'" Kelley, "Black Poor and the Politics of Opposition" Sugrue, "Structure of Urban Poverty" Arnold R. Hirsch, Making the

Second Ghetto; და John F. Bauman, Norman P. Hummon, and Edward K. Muller, "Public Housing Isolation, and the Urban Underclass," Journal of Urban History 17 (1991), 264–92.

[18] Lincoln Quillian, "Migration Patterns and the Growth of High-Poverty Neighborhoods, 1970–1990," American Journal of Sociology 105 (1999), 1–37.

[19] იქვე

[20] იქვე

[21] William Julius Wilson, *The Truly Disadvantaged: The Inner City, the Underclass, and Public Policy* (Chicago: University of Chicago Press, 1987); Wilson, *When Work Disappears*; Quillian, *Migration Patterns*.

[22] იხილეთ Demetrios Caraley, "Washington Abandons the Cities," *Political Science Quarterly* 107 (Spring 1992), 1–30.

[23] Bruce A. Wallin, *Budgeting for Basics: The Changing Landscape of City Finances*, Discussion paper prepared for the Brookings Institution Metropolitan Policy Program (Washington, DC: Brookings Institution, August 2005).

[24] US Department of Housing and Urban Development, *The State of Cities* (Washington, DC: Government Printing Office, 1999).

[25] Caraley, "Washington Abandons the Cities."

[26] Iris J. Lav and Andrew Brecher, *Passing Down the Deficit: Federal Policies Contribute to the Severity of the State Fiscal Crisis* (Washington, DC: Center on Budget and Policy Priorities, May 12, 2004).

[27] Bruce Katz, "Beyond City Limits: The Emergence of a New Metropolitan Agenda" (unpublished manuscript, Brookings Institution, 1999).

[28] US Department of Labor, "Federal Minimum Wage Rates under the Fair Labor Standards Act" (2008), at www.dol.gov/esa/minwage/chart.pdf.

[29] Radhika K. Fox and Sarah Treuhaft, Shared Prosperity, Stronger Regions: An Agenda for Rebuilding America's Older Core Cities (Oakland, CA: PolicyLink, 2006).

[30] Bill Joy, "Why the Future Doesn't Need Us," Wired, April 2000, 238–62; and Fox and Treuhaft, Shared Prosperity, Stronger Regions.

[31] Wilson, *When Work Disappears.*

[32] Fox and Treuhaft, *Shared Prosperity, Stronger Regions.*

[33] იქვე

[34] Fox and Treuhaft, *Shared Prosperity, Stronger Regions*; Wilson, *When Work Disappears.*

[35] US Department of Housing and Urban Development, *State of Cities.*

[36] Fox and Treuhaft, *Shared Prosperity, Stronger Regions.*

[37] იქვე, 32.

[38] Fox and Treuhaft, *Shared Prosperity, Stronger Regions.*

[39] მაგალითად, იხილეთ Wilson, *When Work Disappears*; და Joleen Kirschenman and Kathryn Neckerman, "We'd Love to Hire Them, but…: The Meaning of Race for Employers," in *The Urban Underclass,* eds. Christopher Jencks and Paul E. Peterson (Washington, DC: Brookings Institution, 1991), 203–34; Kathryn M. Neckerman and Joleen Kirschenman, "Hiring Strategies, Racial Bias, and Inner-City Workers," Social Problems 38 (November 1991), 433–47; da Harry Holzer, *What Employers Want: Job Prospects for Less Educated Workers* (New York: Sage Foundation, 1996).

[40] Wilson, *Truly Disadvantaged*; Wilson, *When Work Disappears*; and Fox and Treuhaft, *Shared Prosperity, tronger Regions*.

[41] Fox and Treuhaft, *Shared Prosperity, Stronger Regions*.

[42] Wilson, *Truly Disadvantaged*; and Wilson, *When Work Disappears*.

[43] Richard Majors and Janet Billson, *Cool Pose* (Lexington, MA: Heath, 1992); Orlando Patterson, "Taking Culture Seriously: A Framework and Afro-American Illustration," კრებულში *Culture Matters: How Values Shape Human Progress*, eds. Lawrence E. Harrison and Samuel P. Huntington (New York: Basic Books, 2000), 202–18; Orlando Patterson, "A Poverty of the Mind," *New York Times*, March 26, 2006.

[44] James R. Kluegel and Eliot R. Smith, "Affirmative Action Attitudes, Effects of Self-Interest, Racial Affect, and Stratification Beliefs on Whites' Views," *Social Forces* 61 (1983), 797–824. See also James R. Kluegel and Eliot R. Smith, *Beliefs about Inequality: Americans' Views of What Is and What Ought to Be* (New York: de Gruyter, 1986).

[45] Lawrence Bobo and Ryan A. Smith, "Antipoverty Politics, Affirmative Action, and Racial Attitudes," in *Confronting Poverty: Prescriptions for Change*, eds. Sheldon H. Danziger, Gary D. Sandefur, and Daniel H. Weinberg (Cambridge, MA: Harvard University Press, 1994), 365–95.

[46] *Blacks See Growing Values Gap between Poor and Middle Class: Optimism about Black Progress Declines* (Washington, DC: Pew Research Center, November 13, 2007), 33.

[47] იქვე

[48] Mario L. Small and Kathryn K. Newman, "Urban Poverty after The Truly Disadvantaged: The Rediscovery of the Family, the Neighborhood, and Culture," *Annual Review of Sociology* 27 (2001), 23–45.

[49] Patrick Sharkey, "The Intergenerational Transmission of Context," *American Journal of Sociology* 113 (January 2008), 931–69.

[50] იქვე.

[51] Erik Olin Wright, private communication, May 7, 2008.

[52] Jargowsky, *Poverty and Place*, 186.

[53] Paul Jargowsky, *Stunning Progress, Hidden Problems: The Dramatic Decline of Concentrated Poverty in the 1990s* (Washington, DC: Brookings Institution, 2003).

[54] იქვე, 9.

[55] იქვე, 9.

[56] იქვე, 3.

[57] იქვე.